სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაN12/46

ბრალდებულთა და მსჯავდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა
26 02 02
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **20 დეკემბერი 2023 წელი**

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „პსპ ფარმა"** (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის - **ვაჟა ოქრიაშვილის** სახით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,* ***SMP230003273*** *თანხმობის* ***(№ 3643 განკარგულება)*** *და 2023 წლის 14 დეკემბრის №01/438164 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:*

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა **(CPV კოდი: 33600000 – ფარმაცევტული პროდუქტები).**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ფარმაცევტული პროდუქტები (შემდგომში საქონელი).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **45144.11 ლარს (ორმოცდახუთი ათას ას ორმოცდაოთხი ლარი და 11 თეთრი).**

3.2 ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

4. საქონლისხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს, რომელიც არ იქნებავადაგასული და უფლებრივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე.

4.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა მისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან იქნება არანაკლებ 12 (თორმეტი) თვე.

4.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი, აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულის ფასი მოცემულია დანართი N1-ში, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **2 (ორი) სამუშაო** დღის ვადაში **(2023 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით).**

5.2 საქონლის მიწოდების ადგილები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი N2-ით.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება დადასტურდება სასაქონლო ზედნადებში აღწერილი საქონლის მიღებაზე გაფორმებული ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხიმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაფორმების და საქონლის გადაცემის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სამედიცინო ლოჯისტიკის მენეჯერი ლევან ზოზირაშვილი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან ლოჯისტიკის სპეციალისტი - ნათია გიორგაძე ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 დაფინანსების წყარო: <u>2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.</u>

7.4 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების 6.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

7.5 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 7.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7.7 მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.1 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს საქონელი მიწოდების დამთავრების დღიდან 3 (სამი)თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს მიწოდებულ საქონელზე თანხის მოთხოვნის უფლებას.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს მიწოდებულისაქონლის ხარისხი, რაოდენობა და ერთეულის ფასი, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება;

გ)უზრუნველყოს საქონლის შენახვა მწარმოებლის მიერ დადგენილი ნორმების დაცვით.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებულისაქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი N1-ში გათვალისწინებული საქონელი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით და დანართი N1-ით და N2-ით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ)ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.2 უხარისხო ან/და ვადაგასული საქონლის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთოღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.3 საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.4 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.5 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.

11.6 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 12.1 ქვეპუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.4 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების მიერ.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი.

13.2 ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

13.3 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის ან/და უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯებით მისი გამოსწორება.

13.4 ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.

13.5 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

13.6 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

13.7 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სამედიცინო ლოჯისტიკის მენეჯერი ლევან ზოზირაშვილი.

13.8 **ხელშეკრულების შეწყვეტა**

შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევებში, თუ:

ა)მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ)შემსყიდველისათვის ცნობილიგახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ)მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ;

დ) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

ე) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

ვ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.9 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

15.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზეელექტრონულად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის N18, საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223, სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	**შპს „პსპ ფარმა“** მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 148/3 საიდენტიფიკაციო კოდი: 202203123, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, IBAN: GE26TB 0677 1360 2010 0007 დირექტორი PSP PHARMA LLC Digitally signed by PSP PHARMA LLC Date: 2023.12.20 14:51:42 +04'00'
/იულია ტყეშელაშვილი/	**/ვაჟა ოქრიაშვილი/**

დანართი N1
2023 წლის 20 დეკემბრის N12/46 ხელშეკრულებასთან

ფ ა ს ე ბ ი ს ც ხ რ ი ლ ი

N	CPV კოდი	დასახელება/შეფუთვის სახეობა	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	33690000	ოლზაპი ტაბ. 5მგ N30	კოლოფი	30	4.00	120.00
2	33690000	ტრიპლიქსამი ტაბ.10/2.5/10მგN30	კოლოფი	35	29.85	1044.75
3	33690000	პარლაზინი ტაბ. 10მგ N30	კოლოფი	33	10.00	330.00
4	33690000	მეკოლ-ბორიმედი 40გ. მალამო	ტუბი	285	1.27	361.95
5	33690000	ესპუმიზანი კაფს. 40მგ N25	კოლოფი	120	3.41	409.20
6	33690000	ურსომაკი კაფს. 300მგ N20 GMP	კოლოფი	15	15.00	225.00
7	33690000	ანტაზოლი ცხვ.წვ.0.1% 15მლ	ფლაკონი	770	2.00	1540.00
8	33690000	ლანსოპრაზოლი კაფს.30მგ N10	კოლოფი	33	4.47	147.51
9	33690000	როტადონი პაკ. 1500მგ N20	კოლოფი	19	24.84	471.96
10	33690000	ვალოსედი ტაბ. N40	კოლოფი	150	5.90	885.00
11	33690000	ტრეპარინი კაფსულა 250სე N50	კოლოფი	3	79.08	237.24
12	33690000	კარდიომაგნილი ტაბ.150მგ N100	კოლოფი	14	13.43	188.02
13	33690000	ზიკეტი ამპ 30მგ/მლ N10	კოლოფი	75	2.60	195.00
14	33690000	ვალერიანის ექსტ.ტაბ.N50	კოლოფი	115	0.69	79.35
15	33690000	სიმვა-დენკი ტაბ. 20მგ N30	კოლოფი	180	9.71	1747.80
16	33690000	კოფეინი ნ/ბ ტაბ. 200მგ N10	კოლოფი	150	1.62	243.00
17	33690000	კლინდაცინი T გელი 1% 30გ	ტუბი	12	28.45	341.40
18	33690000	ლორინდენი C მალამო 15გ	ტუბი	140	10.50	1470.00
19	33690000	რივაროქსი ტაბ.20მგ N28	კოლოფი	81	25.00	2025.00
20	33690000	სანიდერმი მალამო 15გ	ტუბი	20	4.00	80.00
21	33690000	დერმაზინი კრემი 1% 50.0	ტუბი	25	14.56	364.00
22	33690000	ნახშირი ტაბ. 0.25 N10	ფირფიტა	200	0.17	34.00
23	33690000	სიმალგელი სუსპ. 250მლ	ფლაკონი	160	18.68	2988.80
24	33690000	ჰეპტრალი 400მგ ფლ N5	კოლოფი	20	75.20	1504.00
25	33690000	ტრახისანი საწ. ტაბ N20	კოლოფი	1265	9.61	12156.65
26	33690000	მეზიმ ფორტე დრაჟე10000ერთ N20	კოლოფი	88	7.82	688.16
27	33690000	პრენესა ტაბ. 4მგ N30	კოლოფი	44	11.44	503.36
28	33690000	პრენესა ტაბ. 8მგ N30	კოლოფი	114	15.88	1810.32
29	33690000	ტროქსერუტინის გელი 2% 40გრ	ტუბი	110	3.49	383.90
30	33690000	ტროქსერუტინი კაფს. 300მგ N50	კოლოფი	40	13.45	538.00

N	CPV კოდი	დასახელება/შეფუთვის სახეობა	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
31	33690000	ამიტრიპტილინი ტაბ. 25მგ N50	კოლოფი	33	5.71	188.43
32	33690000	გრანდაქსინი ტაბ.50მგ.N20	კოლოფი	103	5.68	585.04
33	33690000	კავინტონი ფორტე ტაბ. 10მგ N30	კოლოფი	37	9.47	350.39
34	33690000	ლუცეტამი ტაბ. 1200მგ N20	კოლოფი	60	8.75	525.00
35	33690000	გლიცეროლი სელლა ხსნ6.75გ N6	კოლოფი	40	5.36	214.40
36	33690000	კორვალოლი 25მლ ფლ.	ფლაკონი	75	0.87	65.25
37	33690000	ფიზიოტენზი შ.ტაბ 0.4მგ N14	კოლოფი	355	6.26	2222.30
38	33690000	ტურბომიკრონ G ტაბ.500მგN60 GMP	კოლოფი	27	20.00	540.00
39	33690000	დოპროკინი-S სუსპენზია 60 მლ	ფლაკონი	14	14.95	209.30
40	33690000	პოლი სოლი ფორტე პაკ.N10 ჟოლო	კოლოფი	34	9.00	306.00
41	33690000	სულფასალაზინი ტაბ.500მგ.N50	კოლოფი	27	25.39	685.53
42	33690000	ეგილოკი(მეტოპროლ)ტაბ. 25მგN60	კოლოფი	121	4.15	502.15
43	33690000	ლორისტა ტაბ.100მგ N28	კოლოფი	7	7.21	50.47
44	33690000	ტავეგილი ტაბ.1მგ.N20	კოლოფი	20	7.42	148.40
45	33690000	ეუკარბონი ტაბ. N10	კოლოფი	300	3.54	1062.00
46	33690000	დუფასტონი ტაბ.10მგ N20 თრ	კოლოფი	15	16.77	251.55
47	33690000	კოქსიქეა ტაბ. 60მგ N28	კოლოფი	130	20.00	2600.00
48	33690000	იბუპროფენი ტაბ. 400მგ N50	კოლოფი	111	6.31	700.41
49	33690000	ცისტონე ტაბ.N100	კოლოფი	20	18.04	360.80
50	33690000	ფოლის მჟავა ტაბ. 5მგ N50	კოლოფი	18	2.54	45.72
51	33690000	ჰელი სტოპი ტაბ.120მგ N112	კოლოფი	10	41.76	417.60
სულ ჯამი:						**45144.11**

საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

1. მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1-ში მოცემულ მახასიათებლებს;
2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.
3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართებზე:

1	ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N27
2	№1 დაწესებულება - ოზურგეთის რაიონი, დაბა ლაითური.
3	№2 დაწესებულება - ქ. ქუთაისი, ხარებავას ქუჩა, ბოლო მონაკვეთი
4	№3 დაწესებულება - ქ. ბათუმი, თეოდორე მღვდლის №27
5	№5 დაწესებულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მთისძირი
6	№6 დაწესებულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი
7	№8 დაწესებულება - ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ - ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11
8	№10 დაწესებულება - მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი.
9	№11 დაწესებულება - ქ. თბილისი, გრ. ხანმთელის ქ. №3
10	№12 დაწესებულება - ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60
11	№14 დაწესებულება - ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება.
12	№15 დაწესებულება - მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი
13	№16 დაწესებულება - ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60
14	№17 დაწესებულება - ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ.№ 64
15	№18 დაწესებულება - ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ - მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი.

KA010148922243923

№01/438164 **14 / დეკემბერი / 2023 წ.**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალურ დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ გიორგი გიორგაძეს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის იულია
ტყეშელაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ პენიტენციური დაწესებულებების საექიმო სამედიცინო პუნქტებისა და სამკურნალო დაწესებულებების მოთხოვნების შესაბამისად დანართში მითითებული მედიკამენტების მარაგი ამოწურულია. აღნიშნული ჩამონათვალი არის ბაზისური მედიკამენტების ნუსხიდან, რომლებზეც გამოცხადებული იყო კონსოლიდირებული ტენდერები ნომრით CON220000401, CON220000414, CON220000416, CON220000417, CON220000426, CON220000432, CON220000433, CON220000439, CON220000444, CON220000447, CON220000473, CON220000488, CON220000496, CON220000498, CON220000509, CON220000527, CON220000536, CON230000002, CON230000004, CON230000007, CON230000022, CON230000024, CON230000031, CON230000032, CON230000035, CON230000040, CON230000043, CON230000045, CON230000046, CON230000047, CON230000054, CON230000055, CON230000056, CON230000119, CON230000130, CON230000131, CON230000167, CON230000175, CON230000213, CON230000215, CON230000216, CON230000217, CON230000222, CON230000224, CON230000238, CON230000241, CON230000264 და ელექტრონული ტენდერები NAT230000966, NAT230007109, NAT230008446, NAT230008449, NAT230010191 NAT230010193, NAT230010197 და NAT230012548 რომლებიც შედგა და გამარჯვებული გამოვლენილია, სამსახურს გაფორმებული ქონდა საჭირო მედიკამენტების რაოდენობებზე ხელშეკრულებები რომლის ფარგლებშიც დანართში მითითებული მედიკამენტების რაოდენობა ამოიწურა.კონსოლიდირებულ ტენდერებში
გამარჯვებულ კომპანიებს მივმართეთ თხოვნით რათა გაფორმებინათ ერთჯერადი ხელშეკრულებები რაზეც მივიღეთ უარი (იხ. დანართი).
ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს მიერ ფარმაცევტულ ბაზარზე დღეისათვის არსებული ფასების მოძიების მიზნით განხორციელდა ფასთა კვლევა, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილ იქნა შემოთავაზებები: შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“-ს, ს.ს. „გეფა“-ს და შ.პ.ს. „პსპ ფარმა“-ს მიერ, რომლებშიც მითითებულია ჩვენს მიერ მოთხოვნილი მედიკამენტების ერთეულის ფასები.
იმისათვის რომ არ შეიქმნას პრობლემები პაციენტთა მკურნალობის საკითხში, გთხოვთ, დაგვრთოთ ნება დანართში მითითებული მედიკამენტების ერთი თვის მარაგის გადაუდებლად შესყიდვაზე.

დანართი: შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“ს შემოთავაზება
შ.პ.ს. „პსპ ფარმა“ს შემოთავაზება
ს.ს “გეფა’’ს შემოთავაზება
შემოთავაზებების შედარებითი ცხრილი
შ.პ.ს. „პსპ ფარმა“-ს პასუხი - უარი (მეილი)
შ.პ.ს. „ავერსი ფარმა“-ს პასუხი - უარი (მეილი)
ს.ს. „გეფა“-ს პასუხი - უარი (მეილი)

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იულია ტყეშელაშვილი